

შპს “ჯი ესი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31
დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-16

შპს „ჯი ესი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ათასი ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები		509.371	531.904
არამატერიალური აქტივები			
გაცემული სესხები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		509.371	531.904
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
სასაქონლო მატერიალური	8	802.956	965.003
ფასეულობები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	241.852	424.831
საგადასახადო აქტივი		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	10	0.578	1.076
სულ მიმდინარე აქტივები		1045.386	1390.91
სულ აქტივები		1554.757	1922.814
<i>კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი	12	-	-
გაუნაწილებელი მოგება		481.032	522.231
სულ კაპიტალი		481.032	490.101
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სესხები	13	332.575	278.449
ვალდებულება ფინანსური			-
იჯარიდან			-
საგადასახადო ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		332.575	278.449
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
მოკლევადიანი სესხები		102.466	342.238
ვალდებულება ფინანსური			-
იჯარიდან			-
სავაჭრო და სხვა		638.684	779.896
სულ მიმდინარე ვალდებულებები		741.15	1122.134
სულ ვალდებულებები		1073.725	1400.583
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1554.757	1890.684

ხელმოწერი პირები:


სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო
შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჯი ესი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
შემოსავალი	16	3480.865	4988.672
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	17	(2574.747)	(3923.097)
საერთო მოგება/(ზარალი)		906.118	1065.575
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(664.433)	(802.991)
სხვა შემოსავალი	19		
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		241.685	262.584
ფინანსური შემოსავალი	11	-	-
ფინანსური ხარჯი	13		
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(39,943)	(42.755)
არასაოპერაციო ხარჯები		(52.411)	(68.115)
არასაოპერაციო შემოსავლები	20	-	-
მოგება დაბეგრამდე		149.331	151.714
მოგების გადასახადი		-	-
გადავადებული გადასახადის სარგებელი	21	-	-
წლის წმინდა მოგება			

ხელმოწერილი პირი:


სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შპს „ჯი ესი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	-	481.032	481.032
მოგება წლის განმავლობაში		160.683	151.714
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი		(110.515)	(110.515)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	526.200	522.231

ხელმოწერილი პირი:


პ. შინჭილაძე
სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შპს „ჯი ესი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის დეკემბერი
(ათასი ლარი)

	2018	2019
მოგება დაბეგვრამდე		
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4122.392	5707.458
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3900.792)	(5913.137)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	221.6	-205.679
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		
არამატერიალური აქტივების შეძენა		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
მიღებული სესხები	(3107.225)	(4162.370)
გადახდილი სესხები	3220.642	3976.702
გადახდილი პროცენტი	52.411	68.115
გადახდილი დივიდენდი	48.00	104.990
კაპიტალის შემცირება	-	
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:	213.828	12.563
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში	7.772	12.139
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	(7.143)	(38,874)
ნაშთი წლის დასაწყისში	15.041	0.579
ნაშთი წლის ბოლოს	0.579	2.902

ხელმოწერილი პირი:


სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “ჯი ესი” (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2011 წლის 11 აპრილს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფიზიკური პირი, პაატა შენგელია წარმოადგენს კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელს. ფიზიკური პირი, კახაბერ მოწენიძე წარმოადგენს კომპანიის 25%-იანი წილის მფლობელს, შპს „ალიანსი 6“ წარმოადგენს კომპანიის 25%-იანი წილის მფლობელს

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტის იმპორტი და რეალიზაცია კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ალ ყაზბეგის გამზ 47, ბ1.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677	2.6727
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0597
100 რუბლი/ლარი	4.6423	3.8393

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მიწა	
შენობა ნაგებობა	20
მანქანა დანადგარები	5
ავეჯი და ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება

ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შეგებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

შპს „ჯი ესი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის დეკემბერი
(ათასი ლარი)

6. ძირითადი საშუალებები						
მითხ	შენიშვნა	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი	
<i>ისტორიული ღირებულება</i>						
2018 წლის 1 იანვარი	244.710	214.902	12.567	12.791	32.82	517.790
შემოსვლა	-	-	41.463	0.737	-	42.2
გასვლა	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	244.710	214.902	54.03	13.528	32.82	559.990
შემოსვლა	-	-	38.759	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	244.710	214.902	92.789	13.528	32.82	598.749
<i>დაგროვილი ცვეთა</i>						
2018 წლის 1 იანვარი	-1.631	-2.900	-4.881	-7.512	-16.924	-50.617
ცვეთის ხარჯი	-12.376	-16.472	-6.745	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-14.007	-19.372	-11.626	-22.536	-67.541	-31.522
ცვეთის ხარჯი	-10.126	-11.671	-2.213	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-24.133	-30.956	-3.839	-30.048	-98.975	-
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
2018 წლის 1 იანვარი	244.710	214.902	12.567	12.791	32.82	517.790
2018 წლის 31 დეკემბერი	244.710	214.902	54.03	13.528	32.82	559.990
2019 წლის 31 დეკემბერი	244.710	214.902	92.789	13.528	32.82	598.749

7. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-18	31-დეკ-19
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	802.956	965,003
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	802.956	965.003

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-18	31-დეკ-19
სავაჭრო მოთხოვნები	238.023	424.831
გაცემული ავანსები		
სხვა მოთხოვნები		
თანხები დაკავშირებული მხარეებისაგან	3.829-	
გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	241.852	424.831

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-18	31-დეკ-19
თანხა ბანკში	0.571	0.513
თანხა სალაროში	0.007	0.563
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	0.578	1.076

10. კაპიტალი

გამოცხადებული და გაცემული დივიდენდის ბრუნვა მოცემულია ქვემოთ:

	31-დეკ-18	31-დეკ-19
გადასახდელი დივიდენდი (1 იანვარი)	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდი	50.526	110.515
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდი	(50.526)	(110.515)
გადასახდელი დივიდენდი (31 დეკემბერი)	-	-

11. სესხები

ორგანიზაცია	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
სს ვი თი ბი ბანკ ჯორჯია	14.12.2016	14.12.2023	10.5%	GEL	332.575	278.449
სს ვი თი ბი ბანკ ჯორჯია	03.05.2019	23.12.2020	11%	GEL	-	106.337
სს ვი თი ბი ბანკ ჯორჯია	26.02.2019	04.12.2019	12%	GEL	-	130.589

შპს „ჯი ესი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის დეკემბერი
 (ათასი ლარი)

სს ვი თი ბი ბანკ ჯორჯია	31.12.2018	05.09.2019	10.9	GEL	102.466	-
სს ვი თი ბი ბანკ ჯორჯია	09.01.2019	09.01.2020	10.9	GEL		4.400
სს ვი თი ბი ბანკ ჯორჯია	26.11.2019	29.07.2020	10.9	GEL		100.912
სულ სესხები					435.021	620.689
						-

სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი 2019 წელს შეადგენს 68.115 ათას ლარს

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მიღებული ავანსები		
სავაჭრო ვალდებულებები	605.345	775.435
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	33.339	4.460
სახელფასო ვალდებულებები		
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	638.684	779,896

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

13. შემოსავალი

შემოსავალი	2018	2019
შემოსავალი პროდუქტის რეალიზაციიდან	3480.865	4988.672
სულ შემოსავალი	3480.865	4988.67

14. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2018	2019
თვითღირებულება	2574.747	3923.097
სულ თვითღირებულება	2574.747	3923.097

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018	2019
ხელფასები	417.936	631.712
რემონტის ხარჯები	8.045	10.651
საწვავის ხარჯი	14.178	29.508
ბანკის მომსახურების ხარჯები	13.610	16.887
მომსახურების ხარჯები	2.043	5.970
საკანცელარიო ხარჯები	1.295	2.761
დაგროვებითი საპენსიო შენატანი	-	11.220
მივლინების ხარჯები	12.491	10.723
ცვეთის ხარჯი	33.826	31.522
კომუნალური ხარჯი	21.447	27.897
კომუნიკაციის ხარჯები	2.251	4.763
რეკლამის ხარჯი	127.948	1.917
სხვა ხარჯები	9.363	17.460
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	664.433	802.991

16. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორსაც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

შპს „ჯი ესი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის დეკემბერი
(ათასი ლარი)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.